*დანართი №1*

გ
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:** მაია თოიძე

**წევრები:**

სანდრო კეკენაძე

დავით გუდაძე

თამარ ახალაძე

ნათია იორდანიშვილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 424066977

სახე:

■ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

□ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

□ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

***<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☒ **ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება**

☐ გეგმიური

☒ **არაგეგმიური**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ელექტროობა | 30 ( მათ შორის, 15 ინტეგრირებული) | 5 | 0 |
| კომპიუტერული ქსელი და სისტემები | 40 ( მათ შორის, 20 ინტეგრირებული) | 18 | 0 |
| სატყეო საქმე | 40 ( მათ შორის, 20 ინტეგრირებული) | 0 | 0 |
| მებოსტნე | 40 | 0 | 0 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## IV. საერთო მიმოხილვა

ადმინისტრაციული წარმოების მიზანია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2022 წლის 25 თებერვალს N197638 წერილით წარდგენილ დასკვნაში, რომელიც მომზადდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 08 თებერვლის №MES 7 22 0000120618 ბრძანებით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ასახული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში: ,,ელექტროობა" „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, ,,სატყეო საქმე" რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და „მებოსტნე“.

2022 წლის 14 და 15 თებერვალს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, დაწესებულების მიერ ვერ დადასტურდა, რომ ,,ელექტროობის“, ,,სატყეო საქმის, ,,მებოსტნის“ და ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და დაწესებულების მიერ წარდგენილი შესაბამისობის გეგმის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამები შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“. გარდა, ამისა ყველა ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 13 სექტემბრის №MES 3 22 0001068144 ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა, ბრძანებით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად, შეისწავლეს დაწესებულების მიერ 2022 წლის 31 აგვისტოს MES 5 22 0000974024 კორესპონდენციით ცენტრში წარდგენილი რეკომენდაციების შესრულების მტკიცებულებები და ადგილზე გაეცნენ პროგრამების იმ სასწავლო ფართებს, რომლებიც წინა ვიზიტის ფარგლებში არ იყო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად მოწყობილი. ყველა ზემოაღნიშნული პროგრამის განხორციელების ადგილს წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსი, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. №119. არაგეგმიური მონიტორინგი განხორციელდა 2022 წლის 30 სექტემბერს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ვიზიტის განრიგის შესაბამისად. (დანართი №1).

უნდა აღინიშნოს, რომ ,,მებოსტნისა“ და ,,სატყეო საქმის“ პროგრამების დარგის ექსპერტები, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, დისტანციურად იყვნენ ჩართულნი ვიზიტის პროცესში. მათ მიერ, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, განხორციელდა პროგრამების სასწავლო გარემოთა და აღჭურვილობის დათვალიერება.

ვიზიტის პროცესში პირისპირ კომუნიკაცია შედგა უსდ-ს რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ხარისხის მართვასა და უზრუნველყოფაზე, პასუხისმგებელ პირებთან.

ვიზიტის პროცესში დადგინდა, რომ დაწესებულებას წინა მონიტორინგის ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციები სრულად ჰქონდა შესრულებული ყველა პროგრამის ფარგლებში. შესაბამისად, ,,ელექტროობის" „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“, ,,სატყეო საქმის" რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და „მებოსტნის“



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**პროგრამები პროფესიულ საგანმანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით არის ,,სრულად შესაბამისი“.**

## VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა.

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

**წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული ყველა შესაბამისობის რეკომენდაცია შესრულებულია. დეტალური ინფორმაცია იხილეთ აღწერილობით ნაწილში ( პროგრამების შესაბამისად).**

რაც შეეხება განმავითარებელ რეკომენდაციებს მათი უმეტესი ნაწილი ნაწილობრივ არის შესრულებულია, ხოლო ნაწილი არ არის შესრულებული. კერძოდ:

**ელექტროობა**

2.2.1 (1) - დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორია უზრუნველყოს გამწოვი კარადითა და წყლის მიწოდებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინფორმაცია შესრულების თაობაზე** - ნაწილობრივ შესრულებულია - ლაბორატორია უზრუნველყოფილია წყლის მიწოდებით. **ლაბორატორია გამწოვი კარადით არ არის უზრუნველყოფილი.**

2.2.1 (5)- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოდულებში იდენტიფიცირდეს მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები.

**ინფორმაცია შესრულების თაობაზე** - არ არის შესრულებული.

2.2.1 (6)- სსსმ პირთა სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულაციით განსაზღვროს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა.

**ინფორმაცია შესრულების თაობაზე** - არ არის შესრულებული

2.2.1 (7) - პროგრამის ბიუჯეტის შემუშავებასა და რენტაბელობის ზღვრის დადგენასთან მიმართებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტის ვაუჩერის ოდენობა დაიანგარიშოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის №244 დადგენილების მე-9 2 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

**ინფორმაცია შესრულების თაობაზე** - შესრულებულია. დაწესებულებამ წარმოადგინა ახალი ბიუჯეტი.

- მოდულებში გაჩნდეს ჩანაწერები სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობისა და დისტანციური სწავლების პროცესში დასანერგი სწავლებისა და შეფასების ალტერნატიული მეთოდების თაობაზე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინფორმაცია შესრულების თაობაზე** - არ არის შესრულებული.

- რეკომენდებულია მოდულებში გაჩნდეს ჩანაწერები რომელი სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორი საწარმოს ბაზაზე და ასევე, პროგრამაში არსებული ჩანაწერები იძლეოდეს ინფორმაციას პარტნიორი კომპანიების თაობაზე;

**ინფორმაცია შესრულების თაობაზე** - შესრულებულია. მოდულებში შეტანილია შესაბამისი ჩანაწერები.

- რეკომენდებულია მოდულის ,,უსაფრთხოება მაღალი ძაბვის ელექტროობაში“ მეხუთე სწავლის შედეგთან (პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა) მიმართებით ელექტროობის პროგრამაში გაჩნდეს ინფორმაცია იმ სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსის თაობაზე, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას (პირველადი გადაუდებელი დახმარების სასწავლო გარემო).

**ინფორმაცია შესრულების თაობაზე** - არ არის შესრულებული.

**მებოსტნე**

2.2.1 (5)- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოდულებში იდენტიფიცირდეს მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები.

**ინფორმაცია შესრულების თაობაზე** - არ არის შესრულებული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1 (6)- სსსმ პირთა სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულაციით განსაზღვროს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა.

**ინფორმაცია შესრულების თაობაზე** - <u>არ არის შესრულებული.</u>

- რეკომენდებულია მოდულებში გაჩნდეს ჩანაწერები რომელი სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორი საწარმოს ბაზაზე და ასევე, პროგრამაში არსებული ჩანაწერები იძლეოდეს ინფორმაციას პარტნიორი კომპანიების თაობაზე.

**ინფორმაცია შესრულების თაობაზე** - <u>არ არის შესრულებული.</u>

**სატყეო საქმე**

2.2.1 (1) - დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორია უზრუნველყოს გამწოვი კარადითა და წყლის მიწოდებით.

**ინფორმაცია შესრულების თაობაზე** - <u>ნაწილობრივ შესრულებულია</u> - ლაბორატორია უზრუნველყოფილია წყლის მიწოდებით.

**ლაბორატორია გამწოვი კარადით არ არის უზრუნველყოფილი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1 (5)- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოდულებში იდენტიფიცირდეს მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები.

**ინფორმაცია შესრულების თაობაზე** - არ არის შესრულებული.

2.2.1 (6)- სსსმ პირთა სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულაციით განსაზღვროს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა.

**ინფორმაცია შესრულების თაობაზე** - არ არის შესრულებული.

2.2.1 (7) - პროგრამის ბიუჯეტის შემუშავებასა და რენტაბელობის ზღვრის დადგენასთან მიმართებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტის ვაუჩერი დაიანგარიშოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის №244 დადგენილების მე-9 2 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

**ინფორმაცია შესრულების თაობაზე** - შესრულებულია. დაწესებულებამ წარმოადგინა ახალი ბიუჯეტი.

-რეკომენდებულია მოდულებში გაჩნდეს ჩანაწერები რომელი სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორი საწარმოს ბაზაზე და ასევე, პროგრამაში არსებული ჩანაწერები იძლეოდეს ინფორმაციას პარტნიორი კომპანიების თაობაზე;

**ინფორმაცია შესრულების თაობაზე** - არ არის შესრულებული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-მოდულებში გაჩნდეს ჩანაწერები სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობისა და დისტანციური სწავლების პროცესში დასანერგი სწავლებისა და შეფასების ალტერნატიული მეთოდების თაობაზე;

**ინფორმაცია შესრულების თაობაზე** - არ არის შესრულებული.

**კომპიუტერული ქსელი და სისტემები**

2.2.1 (1) - დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორია უზრუნველყოს გამწოვი კარადითა და წყლის მიწოდებით.

**ინფორმაცია შესრულების თაობაზე** - ნაწილობრივ შესრულებულია - ლაბორატორია უზრუნველყოფილია წყლის მიწოდებით.

**ლაბორატორია გამწოვი კარადით არ არის უზრუნველყოფილი.**

2.2.1 (5)- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოდულებში იდენტიფიცირდეს მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები.

**ინფორმაცია შესრულების თაობაზე** - არ არის შესრულებული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1 (6)- სსსმ პირთა სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულაციით განსაზღვროს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა.

**ინფორმაცია შესრულების თაობაზე** - <u>არ არის შესრულებული.</u>

-რეკომენდებულია მოდულებში გაჩნდეს ჩანაწერები სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობისა და დისტანციური სწავლების პროცესში დასანერგი სწავლებისა და შეფასების ალტერნატიული მეთოდების თაობაზე.

**ინფორმაცია შესრულების თაობაზე** - <u>არ არის შესრულებული.</u>

## VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

## IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ არის გაცემული.

## X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

**ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ ისევ გასცენ შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაციები:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ელექტროობა**

2.2.1 (1) - დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორია უზრუნველყოს გამწოვი კარადით;

2.2.1 (5)- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოდულებში იდენტიფიცირდეს მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები.

2.2.1 (6)- სსსმ პირთა სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულაციით განსაზღვროს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა.

- რეკომენდებულია მოდულის ,,უსაფრთხოება მაღალი ძაბვის ელექტროობაში" მეხუთე სწავლის შედეგთან (პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა) მიმართებით ელექტროობის პროგრამაში გაჩნდეს ინფორმაცია იმ სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსის თაობაზე, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას (პირველადი გადაუდებელი დახმარების სასწავლო გარემო).

**მებოსტნე**

2.2.1 (5)- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოდულებში იდენტიფიცირდეს მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1 (6)- სსსმ პირთა სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულაციით განსაზღვროს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა.

- რეკომენდებულია მოდულებში გაჩნდეს ჩანაწერები რომელი სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორი საწარმოს ბაზაზე და ასევე, პროგრამაში არსებული ჩანაწერები იძლეოდეს ინფორმაციას პარტნიორი კომპანიების თაობაზე.

**სატყეო საქმე**

2.2.1 (1) - დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორია უზრუნველყოს გამწოვი კარადით;

2.2.1 (5)- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოდულებში იდენტიფიცირდეს მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები.

2.2.1 (6)- სსსმ პირთა სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულაციით განსაზღვროს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა.

**კომპიუტერული ქსელი და სისტემები**

2.2.1 (1) - დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორია უზრუნველყოს გამწოვი კარადით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1 (5)- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოდულებში იდენტიფიცირდეს მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები.

2.2.1 (6)- სსსმ პირთა სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულაციით განსაზღვროს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა.

**აღწერილობა**

**ელექტროობა (რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები)**

**წინა ვიზიტის ფარგლებში ,,ელექტროობის“ პროგრამის ფარგლებში გაცემული იყო ორი შესაბამისობის რეკომენდაცია.**

2.2.1 (1) - ,,ელექტროობის“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მათ შორის, არ არის დასრულებული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიის აღჭურვა. პროგრამისათვის დაწესებულების ბაზაზე არ არის მოწყობილი C გარემო ( ლაბორატორია).

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (დანართად) წარმოადგინა ,,შესაბამისობის გეგმა“, რომლის მიხედვით ,,ელექტროობის“ პროგრამისათვის სასწავლო გარემოს მოწყობა დასრულდება 2022 წლის 02 მარტისათვის, ხოლო აღჭურვილობის შესყიდვა სრულად დასრულდება მაქსიმუმ 6 თვის ვადაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად, ექსპერტებმა დაწესებულებას მისცეს შესაბამისობის რეკომენდაცია, მის მიერ განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს პროგრამის სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა.

2.4.1 (6) - ვინაიდან 2.2.1 კომპონენტის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულების ბაზაზე არ არის მოწყობილი C გარემო, ასევე, ვერ დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (დანართად) ,,შესაბამისობის გეგმა“, რომლის მიხედვით ,,ელექტროობის“ პროგრამისათვის უსაფრთხო სასწავლო გარემოს მოწყობა დასრულდება 2022 წლის 02 მარტისათვის. შესაბამისად, ექსპერტები დაწესებულებას მისცეს შესაბამისობის რეკომენდაცია, მის მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პროგრამის სასწავლო გარემოს უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა, სტანდარტის მოთხოვნებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულებამ 2022 წლის 31 აგვისტოს MES 5 22 0000974024 კორესპონდენციით ცენტრში წარადგინა რეკომენდაციების შესრულების მტკიცებულებები: შესყიდვების დამადასტურებელი მიღება - ჩაბარების აქტები, ფოტო და ვიდეომასალა, პარტნიორ კომპანიასთან ( ს.ს ,,ენერგო - პრო ჯორჯია“) მემორანდუმში შეტანილი ცვლილების მტკიცებულება და ახალ პარტნიორთან ს.ს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი მტკიცებულებები და ადგილზე დაათვალიერა სასწავლო ბაზები, რომლებიც წინა ვიზიტის დროს არ იყო უზრუნველყოფილი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ უზრუნველყო უსაფრთხო სასწავლო c გარემოს (ლაბორატორიის) მოწყობა. დარგის ექსპერტის მიერ გადამოწმდა სასწავლო გარემოს სტანდარტებთან შესაბამისობა და ის აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს ( გათვალისწინებულია სამფაზიანი დენი, არის დამიწება, გამოკრულია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მანიშნებლები, შემუშავებული აქვთ უსაფრთხოების ჟურნალი). სასწავლო გარემოს ფართი აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს ( არანაკლებ 3 კვ. მ. ერთ პროფესიულ სტუდენტზე), წინა ვიზიტის შემდეგ, დაწესებულებამ გამოყო დამატებით ერთი გარემო მოდულისათვის ,,პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების პროგრამირება“, რომელიც აღჭურვილია ლეპტოპებით, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით.

წინა ვიზიტის ფარგლებში არ იყო დასრულებული აღჭურვილობის შესყიდვა მოდულებისათვის: ელექტროტექნიკური მასალები“ და ,,პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების პროგრამირება“ და ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“.

დაწესებულებამ უზრუნველყო მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“ ქვემოთ ჩამოთვლილი აღჭურვილობის დადგენილ ვადებში შესყიდვა, რაც დასტურდება მიღება - ჩაბარების აქტებით.

1. ზამბარების ნაკრები (მეტალის, კაუჭით) ( 1 ცალი)
2. მექანიკური დინამომეტრი ზედა და ქვედა კაუჭით ( 1 ცალი)
3. სხვადასხვა ზედაპირიანი კაუჭიანი ძელაკი ხახუნის ძალის შესასწავლად ( 3 ცალი)
4. ტესტერი (ციფრული ან ელეტრომექანიკური) - უერთდება ჩამონათვალში არსებულ კაბელებს ( 2 ცალი)
5. სადენები კლიპსებიანი ( 15 ცალი)
6. ვარვარების ნათურა სადგამით, ორი სათადარიგო ნათურით ( 1 ცალი)

კომპასი ( 6 ცალი)

8. წყვილი კამერტონი (2 ც ) რეზონატორით ( 1 ცალი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

9. ზარხუფი ვაკუუმის მისაღები ხელის ტუმბოთი ( 1 ცალი)
10. სამკუთხა პრიზმა ( 1 ცალი)
11. ლინზების ნაკრები სადგამით და შესანახი ყუთით ( 1 ცალი)
12. სარკეების ნაკრები სადგამით და შესანახი ყუთით ( 1 ცალი)
13. საცობიანი მ/ ბოთლები რეაქტივებისთვის 100.0 ( 3 ცალი)
14. კიპის დისტილაციის აპარატი (Kipp’s Distillation Apparatus) ( 1 ცალი)
15. ე.წ ფაიფურის ნავი (Porcelain boat) ( 3 ცალი)
16. სამფეხა ქოთნის სადგამი (Tripod pot stand) ( 1 ცალი)
17. ტემპერატურის და pH-ის ციფრული საზომი ( 1 ცალი)
18. საფარი მინები #100 ( 1 ცალი)
19. დურბინდი ( 1 ცალი)
20. ადამიანის ჩონჩხი ასაწყობი ( 1 ცალი)
21. თავის ტვინის ასაწყობი მოდელი ( 1 ცალი)

გათვალისწინებულია განმავითარებელი რეკომენდაცია გარემოს ცხელი და ცივი წყლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. არ არის შესყიდული გამწოვი კარადა, თუმცა გამოითქვა მზაობა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დაწესებულებას მოდულების ,,ელექტროტექნიკური მასალები“ და ,,პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების პროგრამირება“ ფარგლებში უნდა შეესყიდა 12 დასახელების რესურსი:

1. კონდესატორის ტევადობის გამზომი ბოგირი 100-10000 პიკოფარადი ( 1 ცალი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. შერინგის ბოგირი 1000-10000ვ ( 1 ცალი)

3. უნივერსალური გამრღვევი აპარატიУПУ—10 M, 10000v-მდე ( 1 ცალი)

4. ერთგვაროვანი და არაერთგვაროვანი ველის მქონე ელექტროდთა სისტემის და ელექტროდებს შორის მანძილის ცვლილების (0-30 მმ ) მქონე ორგანული მინისაგან დამზადებული დახურული კამერა ( 1 ცალი

5. თხევადი დიელექტრიკების გამრღვევი აპარატი АИМ-90 ( 1 ცალი)

6. MPS® PA სამუშაო ადგილი ( 2 ცალი)

7. PC2 მართვის ნაკრები ( 2 ცალი)

8. S1-DP: მართვის ნაკრები ( 2 ცალი)

9. TP700 სენსორული პანელი ( 2 ცალი)

10. EasyPort USB ინტერფეისი ( 5 ცალი)

11. 84'' LED სენსორული ეკრანი ( 1 ცალი)

12. MPS® 203 I4.0 სისტემა ( 1 ცალი)

შესყიდვებისათვის დაწესებულებას გააჩნდა ფინანსური რესურსი ( 2500 ლარი), ჰქონდა ხედვა რისკებთან დაკავშირებითაც. დადგინდა, რომ რესურსების ღირებულების გაზრდიდან, ასევე, ნაწილობრივ ზოგიერთი რესურსის შესყიდვის შეფერხებიდან გამომდინარე, დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო რესურსის შეძენა და მიღებული იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული მოდულების ფარგლებში პრაქტიკული სწავლის შედეგების პარტნიორთა ბაზებზე მიღწევის თაობაზე. შესაბამისად, შევიდა ცვლილება ს.ს ,,ენერგო - პრო ჯორჯია“- სთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაფორმებულ 2022 წლის 25 იანვარს გაფორმებულ მემორანდუმში დაზუსტდა მოდულების დასახელება და გაჩნდა ინფორმაცია მატერიალური რესურსის თაობაზე.

ასევე, დამატებით, დაწესებულებამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ს.ს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან მოდულების: ,,ელექტროტექნიკური მასალები“ და ,,პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების პროგრამირება“ ფარგლებში თანამშრომლობასთან დაკავშირებით. კომპანია აძლევს საშუალებას ელექტროობის პროგრამის პროფესიულ სტუდენტებს (ექსპერტთა შეფასებით უზრუნველყოფილია სწავლება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში) პრაქტიკული სწავლება გაიარონ მათ ბაზებზე: კომპანიის სასწავლო ცენტრსა და ახალციხის კონვერტორულ ცენტრში. მემორანდუმის მიხედვით სტუდენტთა ბაზებზე გადაადგილებას უზრუნველყოფს დაწესებულება. დაწესებულებას გააჩნია საკუთარი ტრანსპორტი. ვიზიტის დროს პროგრამაზე ირიცხებოდა 6 პროფესიული სტუდენტი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, მიმდინარეობდა მოდული ,,პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების პროგრამირება“. ექსპერტებმა დაათვალიერეს პარტნიორის სასწავლო ბაზა, სადაც შექმნილია პირობები სტუდენტთა სწავლებისათვის. შედგა კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანელთან, მოდულის განმახორციელებლებთან და კომპანიის წარმომადგენლებთან, რომლებმაც მოგვაწოდეს ინფორმაცია მიმდინარე სასწავლო პროცესის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ პროგრამის სამი განმახორციელებელი კომპანიაში დასაქმებული პირებია, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობის პროცესს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის განმახორციელებელმა გამოთქვა სურვილი იმასთან დაკავშირებით, რომ მიუხედავად კომპანიის მზადყოფნისა თანამშრომლობასთან დაკავშირებით, სასურველია, რომ მოდულისათვის ,,პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების პროგრამირება“ დაწესებულებაში მოეწყოს შესაბამისი ბაზა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს ,,ელექტროობის" პროგრამის ფარგლებში, დაწესებულების მიერ მიმდინარე სასწავლო ჯგუფისათვის დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლითაც დადასტურდა, რომ სასწავლო რესურსის შესყიდვის შეფერხებას ხელი არ შეუშლია სასწავლო პროცესისათვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება გათვალისწინებული იყო შესაბამისობის გეგმით.

**ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტები ადასტურებენ ,,ელექტროობის" პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ყველა შესაბამისობის რეკომენდაცია და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით პროგრამა არის ,,სრულად შესაბამისი".**

**დასტურდება:**

1. შპს ,,გვრიტი" - სთან გაფორმებული 2022 წლის 21 თებერვლის #27 მიღება ჩაბარების აქტი;
2. შპს ,,სამაია" –სთან გაფორმებული 2022 წლის 06 აპრილის #49 მიღება ჩაბარების აქტი;
3. შპს ,,სამაია" –სთან გაფორმებული 2022 წლის 06 აპრილის #52 მიღება ჩაბარების აქტი;
4. შპს ,,სამაიასთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება #05/03;
5. შეთანხმება - ს.ს ,,ენერგო - პრო ჯორჯია"- სა და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2022 წლის 25 იანვარს გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. 2022 წლის 20 ივლისის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი - ს.ს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა და სსიპ სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის
7. ვიზუალური დათვალიერება;
8. განმახორციელებლებთან და პარტნიორის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგი.

**მებოსტნე**

**წინა ვიზიტის ფარგლებში ,,მებოსტნის" პროგრამის ფარგლებში გაცემული იყო ერთი შესაბამისობის რეკომენდაცია.**

2.2.1 (1) - ,,მებოსტნის" პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი შესაბამისი სასწავლო გარემოთი. კერძოდ, დაწესებულებას არ ჰქონდა მოწყობილი C გარემო ( სათბური), თუმცა რესურსი მოსაწყობად შეძენილი იყო.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (დანართად) წარმოადგინა ,,შესაბამისობის გეგმა", რომლის მიხედვით ,,მებოსტნის" პროგრამისათვის სათბურის მოწყობა დასრულდებოდა 2022 წლის მაისში ( 5 თვე).

დაწესებულებამ 2022 წლის 31 აგვისტოს MES 5 22 0000974024 კორესპონდენციით ცენტრში წარადგინა რეკომენდაციის შესრულების მტკიცებულებები: სათბურის მოწყობის შესყიდვის დამადასტურებელი ხელშეკრულება. მიღება - ჩაბარების აქტი, ფოტო და ვიდეომასალა.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი მტკიცებულებები და ადგილზე დაათვალიერა სასწავლო გარემო ( სათბური). დარგის ექსპერტი ადასტურებს, რომ სათბურში მოწყობილია სარწყავი სისტემა, შექმნილია მცენარეების გაზრდისათვის სათანადო პირობები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტები ადასტურებენ, რომ ,,მებოსტნის" პროგრამის ფარგლებში არსებული შესაბამისობის რეკომენდაცია შესრულებულია და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით პროგრამა არის ,,სრულად შესაბამისი".

დასტურდება:

1. ფ/პ სანასარ მანუშაკიანთან გაფორმებული 2022 წლის 17 ივნისის №03/141 გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, სათბურის მოწყობის შესახებ;
2. ფ/პ სანასარ მანუშაკიანთან გაფორმებული 2022 წლის 17 ივნისის მიღება - ჩაბარების აქტი სათბურის მოწყობის შესახებ;
3. ვიზუალური დათვალიერება;

სატყეო საქმე (რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები)

წინა ვიზიტის ფარგლებში ,,სატყეო საქმის" პროგრამის ფარგლებში გაცემული იყო ერთი შესაბამისობის რეკომენდაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1 (1) - ,,სატყეო საქმის“ პროგრამით გათვალისწინებული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (დანართად) წარმოადგინა ,,შესაბამისობის გეგმა“, რომლის მიხედვით ,,სატყეო საქმის“ პროგრამისათვის ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიის აღჭურვილობის შესყიდვა დასრულდებოდა 2022 წლის 31 მარტს. კერძოდ, დაწესებულებას არ ჰქონდა შესყიდული ლაბორატორიისათვის 21 დასახელების მატერიალური რესურსი. ლაბორატორიასთან დაკავშირებით ასევე გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაცია მისი გამწოვი კარადითა და წყლით უზრუნველყოფის თაობაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“ ქვემოთ ჩამოთვლილი აღჭურვილობის შესყიდვა.

1. ზამბარების ნაკრები (მეტალის, კაუჭით) ( 1 ცალი)
2. მექანიკური დინამომეტრი ზედა და ქვედა კაუჭით ( 1 ცალი)
3. სხვადასხვა ზედაპირიანი კაუჭიანი ძელაკი ხახუნის ძალის შესასწავლად ( 3 ცალი)
4. ტესტერი (ციფრული ან ელეტრომექანიკური) - უერთდება ჩამონათვალში არსებულ კაბელებს ( 2 ცალი)
5. სადენები კლიპსებიანი ( 15 ცალი)
6. ვარვარების ნათურა სადგამით, ორი სათადარიგო ნათურით ( 1 ცალი)
კომპასი ( 6 ცალი)
8. წყვილი კამერტონი (2 ც ) რეზონატორით ( 1 ცალი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

9. ზარხუფი ვაკუუმის მისაღები ხელის ტუმბოთი ( 1 ცალი)
10. სამკუთხა პრიზმა ( 1 ცალი)
11. ლინზების ნაკრები სადგამით და შესანახი ყუთით ( 1 ცალი)
12. სარკეების ნაკრები სადგამით და შესანახი ყუთით ( 1 ცალი)
13. საცობიანი მ/ ბოთლები რეაქტივებისთვის 100.0 ( 3 ცალი)
14. კიპის დისტილაციის აპარატი (Kipp's Distillation Apparatus) ( 1 ცალი)
15. ე.წ ფაიფურის ნავი (Porcelain boat) ( 3 ცალი)
16. სამფეხა ქოთნის სადგამი (Tripod pot stand) ( 1 ცალი)
17. ტემპერატურის და pH-ის ციფრული საზომი ( 1 ცალი)
18. საფარი მინები #100 ( 1 ცალი)
19. დურბინდი ( 1 ცალი)
20. ადამიანის ჩონჩხი ასაწყობი ( 1 ცალი)
21. თავის ტვინის ასაწყობი მოდელი ( 1 ცალი)

გათვალისწინებულია რეკომენდაცია სასწავლო გარემოს ცხელი და ცივი წყლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. არ არის შესყიდული გამწოვი კარადა, თუმცა გამოითქვა მზაობა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

**ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტები ადასტურებენ, რომ ,,სატყეო საქმის" პროგრამის ფარგლებში არსებული შესაბამისობის რეკომენდაცია შესრულებულია და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით პროგრამა არის ,,სრულად შესაბამისი".**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება:

1. შპს ,,გვრიტი“ - სთან გაფორმებული 2022 წლის 21 თებერვლის #27 მიღება ჩაბარების აქტი;
2. შპს ,,სამაია“ –სთან გაფორმებული 2022 წლის 06 აპრილის #49 მიღება ჩაბარების აქტი;
3. შპს ,,სამაია“ –სთან გაფორმებული 2022 წლის 06 აპრილის #52 მიღება ჩაბარების აქტი;
4. შპს ,,სამაიასთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება #05/03;
5. ვიზუალური დათვალიერება;

**კომპიუტერული ქსელი და სისტემები (რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები)**

**წინა ვიზიტის ფარგლებში ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების “ პროგრამის ფარგლებში გაცემული იყო შემდეგი სახის შესაბამისობის რეკომენდაცია.**

2.2.1 (1) - ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, მათ შორის ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიის აღჭურვილობა. პროგრამისათვის განსაზღვრული B გარემო ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომ მასში ჩატარდეს ყველა პროფესიული მოდული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (დანართად) წარმოადგინა ,,შესაბამისობის გეგმა“, რომლის მიხედვით ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამისათვის დაიგეგმა სასწავლო გარემოს შეცვლა, არსებული კომპიუტერების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული სპეციფიკაციების მქონე კომპიუტერებით ჩანაცვლება და პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული ორი დასახელების აღჭურვილობის შესყიდვა. ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“ მოდულის ლაბორატორიასთან დაკავშირებით, ასევე გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაცია მისი გამწოვი კარადითა და წყლით უზრუნველყოფის თაობაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სსიპ სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის 2022 წლის 15 აპრილს გაფორმებული მიღება - ჩაბარების აქტის შესაბამისად, უსდ-ს გადაეცა 66 ცალი პერსონალური კომპიუტერი. დაწესებულებამ უზრუნველყო სასწავლო გარემოს შეცვლა და მოეწყო სხვა, უფრო დიდი ფართის მქონე სასწავლო გარემო, სადაც განთავსდა ახალი კომპიუტერები, რომელთა სპეციფიკაციები აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. დაწესებულებამ შეიძინა cisco-ს მოწყობილობები: კომუტატორი (3 ცალი) და მარშრუტიზატორი (3 ცალი). აღნიშნული დადასტურებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესყიდვის ხელშეკრულებით, მიღება ჩაბარების აქტებითა და ადგილზე დათვალიერებით.

დადგინდა, რომ დაწესებულებამ ასევე უზრუნველყო მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“ ქვემოთ ჩამოთვლილი დასახელების აღჭურვილობის შესყიდვა.

1. ზამბარების ნაკრები (მეტალის, კაუჭით) ( 1 ცალი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მექანიკური დინამომეტრი ზედა და ქვედა კაუჭით ( 1 ცალი)
3. სხვადასხვა ზედაპირიანი კაუჭიანი ძელაკი ხახუნის ძალის შესასწავლად ( 3 ცალი)
4. ტესტერი (ციფრული ან ელეტრომექანიკური) - უერთდება ჩამონათვალში არსებულ კაბელებს ( 2 ცალი)
5. სადენები კლიპსებიანი ( 15 ცალი)
6. ვარვარების ნათურა სადგამით, ორი სათადარიგო ნათურით ( 1 ცალი)
კომპასი ( 6 ცალი)
8. წყვილი კამერტონი (2 ც ) რეზონატორით ( 1 ცალი)
9. ზარხუფი ვაკუუმის მისაღები ხელის ტუმბოთი ( 1 ცალი)
10. სამკუთხა პრიზმა ( 1 ცალი)
11. ლინზების ნაკრები სადგამით და შესანახი ყუთით ( 1 ცალი)
12. სარკეების ნაკრები სადგამით და შესანახი ყუთით ( 1 ცალი)
13. საცობიანი მ/ ბოთლები რეაქტივებისთვის 100.0 ( 3 ცალი)
14. კიპის დისტილაციის აპარატი (Kipp's Distillation Apparatus) ( 1 ცალი)
15. ე.წ ფაიფურის ნავი (Porcelain boat) ( 3 ცალი)
16. სამფეხა ქოთნის სადგამი (Tripod pot stand) ( 1 ცალი)
17. ტემპერატურის და pH-ის ციფრული საზომი ( 1 ცალი)
18. საფარი მინები #100 ( 1 ცალი)
19. დურბინდი ( 1 ცალი)
20. ადამიანის ჩონჩხი ასაწყობი ( 1 ცალი)
21. თავის ტვინის ასაწყობი მოდელი ( 1 ცალი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულია რეკომენდაცია სასწავლო  გარემოს ცხელი და ცივი წყლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. არ არის შესყიდული გამწოვი კარადა, თუმცა გამოითქვა მზაობა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

**ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტები ადასტურებენ, რომ ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროგრამის ფარგლებში არსებული შესაბამისობის რეკომენდაციები შესრულებულია და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით პროგრამა არის ,,სრულად შესაბამისი".**

დასტურდება:

1. სსიპ სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული 2022 წლის 15 აპრილის მიღება - ჩაბარების აქტები 66 ცალი პერსონალური კომპიუტერის გადაცემის თაობაზე;
2. ი/მ ზელა თოფურიასთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება #05/03; 25.01.2022;
3. ი. მ ზელა თოფურიასთან გაფორმებული 2022 წლის 14 თებერვლის მიღება - ჩაბარების აქტი;
4. შპს ,,გვრიტი" - სთან გაფორმებული 2022 წლის 21 თებერვლის #27 მიღება ჩაბარების აქტი;
5. შპს ,,სამაია" –სთან გაფორმებული 2022 წლის 06 აპრილის #49 მიღება ჩაბარების აქტი;
6. შპს ,,სამაია" –სთან გაფორმებული 2022 წლის 06 აპრილის #52 მიღება ჩაბარების აქტი;
7. შპს ,,სამაიასთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება #05/03;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. ვიზუალური დათვალიერება.

## XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

07.10.2022



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: